დანართი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის დებულება

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1
ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის (შემდგომში – სამსახური) მონიტორინგის დეპარტამენტის (შემდგომში – დეპარტამენტი) სამართლებრივ სტატუსს, ამოცანებს, ფუნქციებს, სტრუქტურას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2
1. დეპარტამენტი სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფია, რომელიც ასრულებს სამსახურისა და ამ დებულებით მასზე დაკისრებულ ამოცანებს და ფუნქციებს. დეპარტამენტი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს სამსახურს.
2. დეპარტამენტი თავისი ფუნქციებისა და ამოცანების განხორციელებისას დამოუკიდებელია და დაუშვებელია სამსახურის სისტემის სხვა თანამდებობის პირების ჩარევა მის საქმიანობაში.

მუხლი 3
დეპარტამენტი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, მათ შორის საქართველოს მთავრობის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და სამსახურის უფროსის სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 4
დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია მხოლოდ სამსახურის უფროსის წინაშე, რომელიც ახორციელებს მასზე სამსახურებრივ ზედამხედველობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი II
დეპარტამენტის ამოცანები და ფუნქციები

მუხლი 5
დეპარტამენტის ამოცანებია:
ა) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის მიერ დეკლარირებული მიზნების მიღწევაში მონაწილეობა;
ბ) კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის, მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების და სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის (შემდგომში - სამსახურის დანაყოფი) სამსახურებრივი შემოწმების განხორციელება;

გ) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის მოსამსახურეთა მიერ ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება.

მუხლი 6

1. დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) სამსახურის მოსამსახურეთა მიერ საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებით, საქართველოს მთავრობის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და სამსახურის უფროსის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულების კონტროლი;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემაში გამოვლენილი მოსამსახურეთა მიერ ეთიკის, დისციპლინური ნორმების და კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების შემოწმება - განხილვა და სამართლებრივი შეფასება, აღმოფხვრა და პრევენცია;

გ) უფლებამოსილების ფარგლებში, განხორციელებული სამსახურებრივი შემოწმების შესაბამისად დასკვნების მომზადება და სამსახურის უფროსისთვის წარდგენა;

დ) საქართველოს კანონმდებლობის და/ან სამსახურის უფროსის დავალების შესაბამისად სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დაკისრებული ფუნქციების შესრულების მიზნით დეპარტამენტი/მისი წარმომადგენელი უფლებამოსილია:

ა) სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან და სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან გამოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია ან დოკუმენტი;

ბ) საჭიროებიდან გამომდინარე, გამოიძახოს სამსახურის სისტემის ნებისმიერი მოსამსახურე ან/და მისგან ადგილზე მიიღოს წერილობითი ან ზეპირი განმარტება;

გ) დაუბრკოლებლად შევიდეს სამსახურის, სისტემის ადმინისტრაციულ და სხვა ნებისმიერ შენობაში/ტერიტორიაზე.

თავი III
დეპარტამენტის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები

მუხლი 7

დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) აღმოსავლეთ საქართველოს ინსპექტირების სამმართველო;

ბ) დასავლეთ საქართველოს ინსპექტირების სამმართველო.

მუხლი 8

1. დეპარტამენტის აღმოსავლეთ საქართველოს ინსპექტირების სამმართველოს და დასავლეთ საქართველოს ინსპექტირების სამმართველოს ფუნქციებია:

ა) სამსახურის მოსამსახურეთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის ფაქტებზე შემოსული საჩივრების, განცხადებების განხილვა;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოსამსახურეთა მიერ დისციპლინური, მათ შორის ეთიკის ნორმების და კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების შემოწმება, გამოვლენა, განხილვა და სამართლებრივი შეფასება, აღმოფხვრა და პრევენცია;

გ) სამსახურის სისტემის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობის შემოწმება;

დ) საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, საქართველოს მთავრობის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, სამსახურის უფროსისა და სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვის კონტროლი;
ე) საქართველოს კანონმდებლობით, ასევე სამსახურის უფროსის, დეპარტამენტის უფროსისა და დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მიერ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულება.
2. დეპარტამენტის აღმოსავლეთ საქართველოს ინსპექტირების სამმართველო და დასავლეთ საქართველოს ინსპექტირების სამმართველო ასრულებენ ამ მუხლით მათზე დაკისრებულ ფუნქციებს ტერიტორიული პრინციპის დაცვით ან/და დეპარტამენტის უფროსის დავალებით, საქმის სირთულის, მოცულობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

თავი IV
დეპარტამენტის ხელმძღვანელობა და მათი უფლებამოსილებანი

მუხლი 9
1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის უფროსი.
2. დეპარტამენტის უფროსი ანგარიშვალდებულია მხოლოდ სამსახურის უფროსის წინაშე.
3. დეპარტამენტის უფროსი:
ა) ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;
ბ) ხელმძღვანელობს დეპარტამენტს, წყვეტს მის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს, წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას და პასუხისმგებელია დეპარტამენტზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვანი შესრულებისათვის;
გ) ანაწილებს მოვალეობებს დეპარტამენტის მოსამსახურეებს შორის, ზედამხედველობს მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას და შრომის დისციპლინის დაცვას;
დ) დეპარტამენტში შემოსულ კორესპონდენციას ანაწილებს დეპარტამენტის მოსამსახურეებზე;
ე) კონტროლს უწევს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და მითითებების/ინსტრუქციების შესრულებას დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;
ვ) ხელმძღვანელობს დეპარტამენტში სტაჟირების გავლას;
ზ) სამსახურის უფროსს წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტის მოსამსახურეთა წახალისების თაობაზე;
თ) მიმართავს სამსახურის უფროსს დეპარტამენტის მოსამსახურეების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების შესახებ;
ი) კომპეტენციის ფარგლებში, ამტკიცებს სამსახურებრივი შემოწმების შედეგებზე მომზადებულ დასკვნას;
კ) აანალიზებს დეპარტამენტის საქმიანობას და სამსახურის უფროს წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, მათ შორის, წინადადებებს დეპარტამენტის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის შესახებ;
ლ) სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს წარუდგენს წინადადებებს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა დეპარტამენტის ამოცანების შესასრულებლად;
მ) პერიოდულად ისმენს ანგარიშს დეპარტამენტში შემავალი სამმართველოების უფროსებისა და მოსამსახურეების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;
ნ) შუამდგომლობს სამმართველოს მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების შესახებ;

ო) ხელს აწერს ან ვიზირებას უკეთებს დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტაციას;
პ) ყოველწლიურად ან მოთხოვნისამებრ, სამსახურის უფროსს წარუდგენს ანგარიშს დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;
ჟ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს, ასევე სამსახურის უფროსის ცალკეულ დავალებებს.
4. დეპარტამენტის უფროსის არყოფნისას დეპარტამენტის უფროსის მოვალეობას ასრულებს დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ხოლო ამ უკანასკნელის არყოფნისას, სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით, დეპარტამენტში შემავალი ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი.

მუხლი 10
1. დეპარტამენტის უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის უფროსი.
2. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:
ა) ხელს უწყობს დეპარტამენტის უფროსს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელებაში;
ბ) ზედამხედველობას უწევს დეპარტამენტის მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას, აძლევს მათ შესაბამის მითითებებსა და დავალებებს;
გ) ახორციელებს დეპარტამენტში მომზადებული დოკუმენტაციის ვიზირებას დეპარტამენტის უფროსის მიერ განსაზღვრული საკურატორო სფეროს მიხედვით;
დ) ასრულებს სამსახურის უფროსის და დეპარტამენტის უფროსის ცალკეულ დავალებებსა და მითითებებს;
ე) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
3. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დეპარტამენტზე დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის და დეპარტამენტის უფროსის წინაშე.

მუხლი 11
1. დეპარტამენტში შემავალ სამმართველოს ხელმძღვანელობს სამმართველოს უფროსი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის უფროსი.
2. სამმართველოს უფროსი:
ა) წარმართავს სამმართველოს საქმიანობას და წყვეტს სამმართველოს გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს;
ბ) ანაწილებს საქმეებს სამმართველოს მოსამსახურეებს შორის; უზრუნველყოფს სამმართველოს მუშაობის ორგანიზებას, ზედამხედველობს სამმართველოს მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივ და საშემსრულებლო დისციპლინის დაცვას;
გ) ახორციელებს სამმართველოში მომზადებული დოკუმენტაციის ვიზირებას;
დ) კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს სამსახურის უფროსის, დეპარტამენტის უფროსის, მისი მოადგილის მითითებებს, დავალებებს ან/და კონტროლს უწევს მათ შესრულებას;
ე) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლება-მოვალეობებს და დეპარტამენტის უფროსისა და მოადგილის დავალებებს.
3. სამმართველოს უფროსი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამმართველოზე დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსის, დეპარტამენტის უფროსისა და დეპარტამენტის უფროსის მოადგილის წინაშე.